



მე-2 გვერდზე

მოქალაქეებმა არ იციან, რა შედეგებს ფლობენ ისინი და როგორ შეუძლიათ, ჩართონ თვითმმართველობის პროცესში

მოსახლეობა ყოველ ოთხ წელში ერთხელ ადგილობრივ ხელისუფლებას ირჩევს. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარჩვენო პერიოდები და არჩევნების დღე თითქმის ყოველთვის მღელვარე და ემოციურია, შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს მოქალაქეთა უმეტესობა „ხელეbs იბანს“ და თავიანთი ქალაქის ან სოფლის ბედ-იღბალს მთლიანად ძალაუფლებამინიჭებულებს ანდობს, მაშინ, როცა ხელისუფლების ჩანტროლის და მმართველობაში ჩართვის სხვადასხვა მექანიზმები არსებობს.

ორი წლის წინ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ახალი რეგულაციები, თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. მოქალაქეთა მმართველობაში მონაწილეობის ფორმებს კოდექსის მე-9 თავი ეთმობა.

კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის, სოფლის/დაბის /ქალაქის მოსახლეობას უფლება აქვს, გამართოს დასახლების საერთო კრება, რომელიც მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელებს და თვითმმართველობას პრობლემების გადაჭრისა და მოგვარების გზებს შესთავაზებს. მუნიციპალიტეტში მაცხოვრებლების ერთ პროცენტსა და საერთო კრებას შეუძლია, საკრებულოს მიმართოს პეტციით, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების მიზნით. კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებელის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სათათბიროში არანაკლებ 10 წევრი უნდა იყოს და მათ დებულებას მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ამტკიცებს. სათათბიროს შეხვედრა მინიმუმ სამ თვეში ერთხელ უნდა მოხდეს.



კოდექსი ასევე ავალდებულებს საკრებულოს წევრებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, წელიწადში ერთხელ მინიმუმ შეხვედრის საკუთარ ამომრჩეველს და ანგარიში წარუდგინოს. ხოლო ამომრჩეველს კი საშუალებას აძლევს, ნებისმიერ დროს, წინასწარი ვაფრთხილების გარეშე დაესწროს საკრებულოს სხდომას.

მიუხედავად კანონით მონიჭებული შესაძლებლობებისა, ამომრჩეველი პასიურია. მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად არც თვით-

მმართველობები გეგმევენ ეფექტურ ღონისძიებებს.

კოტა ხნის წინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ კვლევა ჩატარა, სადაც 2015-2016 წლებში მოქალაქეთა ჩართულობის ზემოთ აღნიშნული ფორმები იმერეთის 12 მუნიციპალიტეტში განიხილა.

„როგორც მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, დასახლების საერთო კრება არ ჩატარებულა თერჯოლის, საჩხერის, სამტრედიის, ტყიბულის, ზესტაფონისა და ხონის მუნიციპალიტეტებში.

ზოგ შემთხვევაში მიზეზი მოქალაქეთა გამოუცხადებლობა გახლდათ, ხოლო იქ, სადაც ჩატარდა, ყველა შემთხვევაში ინიციატორი არა მოქალაქეთა ჯგუფი, არამედ მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო. აღნიშნულ პერიოდში (2015-2016) იმერეთში მხოლოდ ერთი პეტიცია ხონის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა. რაც შეეხება მრჩეველთა საბჭოებს, ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია, დებულებაც განსაზღვრულია, თუმცა, თერჯოლაში, ტყიბულში, ხარაგაულსა და ვანში მრჩეველთა საბჭოს

სხდომები ამ დრომდე ერთხელაც არ ჩატარებულა. ასევე არცერთ მოქმედ საბჭოში არ არის გათვალისწინებული კანონის მოთხოვნა საბჭოს შეკრების პერიოდულობის შესახებ – საბჭო კანონის შესაბამისად სამ თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს.“ – აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ქუთაისის ოფისის კოორდინატორი **ლელა მოწონელიძე**.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ნანა ჯანაშია:

„სახელმწიფომ პრევენციული ღონისძიებები უნდა გაზარდოს და შეამდეგ მონიტორინგი გააძლიეროს!“

აჭარაში და კახეთში გაჩენილი ხანძარმა საქართველოს ტყის ფონდი კიდევ რამდენიმე ათეული ჰექტარით შეამცირა. დაზუსტებული სტატისტიკა, ტყის რა ფართობი განადგურდა 2017 წლის იანვრიდან დღემდე, არ არსებობს. თუმცა არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია ხანძრების რაოდენობასთან დაკავშირებით. 2017 წლის იანვრიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით 753 ხანძარის კერა დაფიქსირდა, 2015 წელს - 822 ხანძარი, ხოლო 2014 წელს - 605.

„წინა წლების მონაცემებს თუ გადავხედავთ, ხანძრების რაოდენობა დაახლოებით იგივეა. უბრალოდ, წელს მეტი ტერიტორია მოიცვა. მე ვერ ვისაუბრებ დივერსიის ვერსიაზე, არ ვარ გამომძიებელი, მაგრამ ეკოლოგიურად სრულიად დასაშვებია ხანძრების ეს რაოდენობა. ამის

მთავარი მიზეზებია: მოუვლელი ტყე, არ ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ზომები, არ არის მინერალიზებული ზოლები, არ გააქვთ ტყიდან ნარჩენები და სხვ. ასევე, გამხმარი და დეგრადირებული ტყე, რომლებიც მაგნებლებით და დაავადებებით არის სავსე.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ანთროპოგენული წინეხია, ბევრი ტურისტი შედის ტყეში. ხოლო მეტეოროლოგიური პირობები და კლიმატის ცვლილების გავლენა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დამატებითი უარყოფითი ტენდენცია.“ – აცხადებს ჩვენთან საუბარში GFW პროექტის ეროვნული კოორდინატორი კატია ნაკაშიძე.

ხანძრის გამომწვევი მიზეზების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სპეციალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან

ვერ განხორციელდა სწრაფი ქმედებები. თუმცა, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 11 იანვრის N4 დადგენილებით დაამტკიცა კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის კოორდინაციით მომზადდა. დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე არსებული, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების, რისკების და გამოწვევების შემცირების ღონისძიებებს და ადგენს კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიის მიზანია ერთიანი, მოქნილი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ

უწყებათა ერთიანი ძალისხმევით და კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს ქვეყანაში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

„ქართული ოცნება“ სამტრედიის, სოფლის მეურნეობასთან ერთად, მენარკეოზის მხარდაჭერი პროგრამების კიდევ უფრო განვითარებას გეგმავს

მმართველი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმებაა

ხელისუფლება იმერეთის რეგიონში ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტებისთვის ცალკეული გეგმის მიხედვით იმოქმედებს. ამჯერად, გაგაცნობთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმას 2018-2021 წლებისთვის, რაც სოფლის მეურნეობისთან ერთად, მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამების კიდევ უფრო განვითარებას ითვალისწინებს. ეკონომიკის განვითარების პარალელურად, დიდი ყურადღება დაეთმობა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ტურიზმს, ჯანდაცვას, განათლებასა და ახალგაზრდობის პოლიტიკას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად 13,9 მლნ ლარს გამოყოფს. მათ შორის: 2018 წელს - 3,2 მლნ, 2019 წელს - 3,3 მლნ, 2020 წელს - 3,5 მლნ და 2021 წელს - 3,7 მლნ ლარს.

მომდევნო წლებშიც, სოფლის მეურნეობის დარგში, გაგრძელდება სამელიორაციო სამუშაოები, რომლის თანახმადაც, 2020 წლისთვის დრენირებული მიწის ფართობი 5,4 ათას ჰა-ს მიაღწევს. ამ მიზნით, მხოლოდ 2018-2019 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 7,6 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს; გაგრძელდება შედარებით ახალგაზრდობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, 2013-2017 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია აკაკი შანიძის მუზეუმის აღდგენა,

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რაიონში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე. 2021 წლამდე საგზაო, წყალმომარაგებისა და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის შექმნა-რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტში სულ 23,2 მლნ ლარის დახარჯვაა დაგეგმილი. მუნიციპალიტეტში გაგრძელდება გარე განათების მოწყობა და დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება. 2018-2021 წლებში ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და სოციალური დახმარების სისტემის დასახვეწად სპეციალური ღონისძიებები გატარდება, გაიზრდება ბიუჯეტი, პროგრამები კი უფრო მიზნობრივი გახდება. მხოლოდ 2016 წელს, 2013 წელთან შედარებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმღებთა რაოდენობა 6-ჯერ, სახელმწიფო დაფინანსება კი 9-ჯერ გაიზარდა. თუ 2013 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ 367

2018-2020 წლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია აკაკი შანიძის მუზეუმის აღდგენა,

ბალნეოლოგიური კურორტის აღდგენა და განვითარება; სამკურნალო ტურიზმის განვითარება სოფელ გორმალაში და საფეხმავლო მარშრუტების მოწყობა.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რაიონში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე. 2021 წლამდე საგზაო, წყალმომარაგებისა და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის შექმნა-რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტში სულ 23,2 მლნ ლარის დახარჯვაა დაგეგმილი. მუნიციპალიტეტში გაგრძელდება გარე განათების მოწყობა და დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება. 2018-2021 წლებში ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და სოციალური დახმარების სისტემის დასახვეწად სპეციალური ღონისძიებები გატარდება, გაიზრდება ბიუჯეტი, პროგრამები კი უფრო მიზნობრივი გახდება. მხოლოდ 2016 წელს, 2013 წელთან შედარებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმღებთა რაოდენობა 6-ჯერ, სახელმწიფო დაფინანსება კი 9-ჯერ გაიზარდა. თუ 2013 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ 367

ათასი ლარი დაიხარჯა, 2016 წელს ამ ხარჯებმა 3,2 მილიონი ლარი შეადგინა.

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი განათლების სისტემის განვითარებაა. 2012 წლის შემდეგ საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა და დადგინდა ძირითადი სტანდარტები. 2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამტრედიის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები 908,5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2017 წელს შესაბამისმა ხარჯებმა 1 მლნ 535 ათასი ლარი შეადგინა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე; საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება; გაგრძელდება საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების მშენ-

ებლობა-რეაბილიტაცია. 2020 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული განათლება/გადამზადების შესაძლებლობა - გაიხსნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. გაგრძელდება განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები.

2013 წელთან შედარებით გაზრდილია კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 797,4 ათასი ლარით, 2017 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი 863,6 ათასი ლარი შეადგინა. 2014-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ეწყობოდა გამოფენები (ეთნოგრაფიული, მხატვართა და სხვ.), იმართებოდა პოეზიისა და თემატური საღამოები, კონფერენციები, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ტარდებოდა ფესტივალები, კონკურსები, კონკურტები. 2014-2016 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები (სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული ორი მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია, ეროსი მანჯ გალაძის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება; გაგრძელდება საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების მშენ-



განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასევე სპორტის სფეროს. სპორტის დაფინანსება 2017 წლის ბიუჯეტით 764,1 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 24,6 ათასი ლარი იყო. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: ფეხბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ცხენოსნობა, კალათბურთი, კარატე, მძლეოსნობა, ჯადრაკი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი და აკრობატიკა. ამ სახეობებში აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები და წარმატებები, ამიტომ მომდევნო წლებში სამტრედიის უზრუნველყოფილი იქნება კულტურისა და სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისთვის ხელშეწყობი პროექტები.

